# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 344

"25" ივლისი 2025 წ.

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6, მე-8 და მე-9 პუნქტების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11, მე-12 და მე-13 პუნქტების შესაბამისად და „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1226.1401 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას: ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 412792214) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხზე, ფეხბურთის მოედნის ფუნქციონირებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, უსასყიდლო უზუფრუქტის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცნობიდან, არაუგვიანეს 18 (თვრამეტი) თვეში, ჯამურად არანაკლებ 719913,00 (შვიდას ცხრამეტი ათას ცხრაას ცამეტი) ლარის ინვესტიციის განხორციელების პირობით. „ქალაქ თბილისში, დავით გურამიშვილის ჩიხი №11ა-ში არსებული 10327 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული №1 შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი: №01.12.01.004.037) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „თბილისი ბავშვთა განვითარების ფეხბურთის ასოციაციისთვის" (ს/ნ. 412792214)

უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით, გადაცემის საკითხზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2025 წლის 23 ივლისის №25.1226.1401 განკარგულების დანართით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის პირობების შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული უსასყიდლო უზუფრუქტის ვადა განისაზღვროს 4 (ოთხი) წლის ვადით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარე** ზურაბ აბაშიძე